აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 27**

19/08/2016 წელი ქ. ბათუმი

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 24 ივლისის N3 განკარგულების ბათილად ცნობის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად 2016 წლის 24 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N3 განკარგულებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“ და მისი წარმომადგენელი გატარდა რეგისტრაციაში.

2016 წლის 16 აგვისტოს ცესკოს თავმჯდომარის მიერ მიღებულ იქნა განკარგულება N74/2016 „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 15 ივლისის განკარგულების N43/2016 ბათილად ცნობის შესახებ, იმ საფუძვლით, რომ 2016 წლის 1 აგვისტოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“-ს 2016 წლის 29 მაისის ყრილობაზე პარტიის თავმჯდომარედ არჩეული პირის თეიმურაზ ხაჩიშვილის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ ჩაითვალა კანონიერად.

აღნიშნული ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, უსკოში მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ცენტრისტები“-ს 2016 წლის 24 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N3 განკარგულების მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“ და მისი წარმომადგენელი რეგისტრაციაში გატარების შესახებ ბათილად ცნობის საფუძველია, ვინაიდან ბათილად იქნა ცნობილი ცესკოს თავმჯდომარის 2016 წლის 15 ივლისის N43/2016 განკარგულება „საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ცენტრისტები“ და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით რეგისტრაციის ერთერთ საფუძველს წარმოადგენდა. შესაბამისად მისი გაბათილება იწვევს 2016 წლის 24 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის N3 განკარგულების მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტები“ და მისი წარმომადგენელი რეგისტრაციაში გატარების შესახებ აქტის ბათილად ცნობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 60[1] მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, **ვადგენ:**

**1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის პარტიისა და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 24 ივლისის N3 განკარგულება ბათილად იქნას ცნობილი მისი ძალაში შესვლის დღიდან.

**2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

**3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია

თავმჯდომარე